



სახელი, გვარი: ლაშა ლალიძე

პროფესია: პროგრამისტი

ასაკი: 28 წლის

ოჯახი: დედა, მამა, ძმა და და

ნიდერლანდების სამეფოში ცხოვრობთ: 25
წელია

საქმიანობის სფერო: მე ვარ პროგრამისტი. “Breda University of Applied Science”-ში კომპიუტერული თამაშების გაკეთებას ვსწავლობდი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე კომპანიაში „Triumph Studios”, სადაც სხვადასხვა თამაშებს ვქმნით. ამჟამად ვაკეთებ დიდ თამაშს, რომელზეც სამი წელია ვმუშაობ და მალე გაიყიდება მთელ მსოფლიოში. ჩემი გაკეთებულია თამაშები „Age of Wonders 3” და “Overlord” ერთი და ორი. ძალიან საინტერესო სამსახური მაქვს. სულ ახალგაზრდები ვმუშაობთ.

გზა საქართველოდან ნიდერლანდების სამეფომდე: ჰოლანდიაში როცა ჩამოვედით მე ოთხი წლის ვიყავი და რა თქმა უნდა არაფერი მახსოვს. ბავშვი, როცა ხარ ვერ ხვდები რამდენად რთული შეიძლება ყოფილიყო ჩემი მშობლებისთვის სამშობლოს დატოვება. ჩემთვის არ იყო რთული, ვინაიდან მე ვერ მიხვდი რა მოხდა. ჰოლანდიურ სკოლაში დავდიოდი. ვხვდებოდი, რომ სხვები შეიძლება უფრო კარგად ცხოვრობენ, მაგრამ ბოლომდე ვერ ვიგებდი რა ხდებოდა. ჩემი მშობლებისთვის რა თქმა უნდა ძალიან რთული იქნებოდა საქართველოდან შორს ყოფნა.

საქართველო არის: საქართველო არის ქვეყანა სადაც დავიბადე და სადაც ოჯახი ცხოვრობს. ესაა ქვეყანა, სადაც ყოველთვის შემძლია წავიდე და სადაც ყველა დიდი სიყვარულით მელოდება. სამშობლო ალბათ მაინც ჰოლანდიაა...

საქართველოში დაგბრუნდები, როცა ან საქართველოში დაგბრუნდებოდი, თუ: მიფიქრია, მაგრამ ალბათ ვერ შევძლებ. ვერ მივეჩვევი იქაურ გარემოს. მე ჰოლანდიაში გავიზარდე, აქ მყავს მეგობრები და მგონია, რომ საქართველოში ვერ ვიცხოვრებ.



ბოლოს საქართველოში ვიყავი: ორი წლის წინ. ჰოლანდიელ მეგობრებთან ერთად ვიყავი საქართველოში და ყველა კუთხე მოვიარეთ. ძალიან მოეწონათ ჩემ მეგობრებს საქართველო. აქამდე არ იცოდნენ, საიდან ვიყავი და ახლა იციან, რომ ძალიან ლამაზი ქვეყნიდან ვარ.



მენატრება: ბევრი რამ მენატრება, ძირითადად ის რაც ჰოლანდიაში მაკლია. პირველ რიგში სტუმართმოყვარეობა არის ის, რასაც ჰოლანდიაში ვერ ნახავ. საჭმელი მენატრება ხოლმე. ქართული

კერძები ძალიან მიყვარს. საქართველოში როცა ჩავდივარ, სადაც მივდივარ ყველგან სუფრაა, რაც ძალიან მომწონს.

რას ვისურვებდი: ძალიან მინდა, რომ ტექნოლოგიურად განვითარდეს საქართველო. ახალგაზრდები თუ დაინტერესდებიან კომპიუტერული თამაშების შექმნით ძალიან კარგი იქნება.